

სოციალური ქსელების გამოყენების წესები

სოციალური ქსელების გამოყენების წესები



სოციალური მედია უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს წარმოადგენს ინფორმაციის მიღებისა და გავრცელებისათვის, ასევე საზოგადოებასთან, აუდიტორიასთან უკუკავშირების დასაყარაბლად და სხვა აქტივობებისთვის. პირველი არხის თანამშრომლების აქტივობა სოციალურ ქსელებში (Facebook, Twitter, YouTube, Instagram, Google+ და სხვ.) გავლენას ახდენს პირველი არხის რეპუტაციაზე, რადგან ორგანიზაციაში დასაქმებული ადამიანები ემნიან მის საბოლოო პროდუქტს და, როგორც წესი, აუდიტორია მათ ორგანიზაციასთან აიგივებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პირველი არხის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან სოციალური ქსელების გამოყენების წინამდებარე წესები (შემდგომში - წესები).

სოციალური ქსელების გამოყენების წესები ვრცელდება მხოლოდ პირველი არხის თანამშრომლებზე, მიუხედავად მათი თანამდებობისა და სამუშაო ადგილმდებარეობისა.

წინამდებარე წესები არ ვრცელდება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს წევრებზე - მეურვეებზე. გარეწარმოების ფარგლებში სხვა მესამე პირების მიერ სოციალური ქსელების გამოყენების წესები რეგულირდება სპეციალურად შემუშავებული დებულებების შესაბამისად.

სოციალური ქსელების გამოყენების წესებს სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე ბრძანებით ამტკიცებს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი. წესები ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

წინამდებარე წესები წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაგანაწესის და შესაბამისად თითოეული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და, შესაბამისად, პირველი არხის თანამშრომელთა მხრიდან წინამდებარე წესების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევი პირის მიმართ გამოყენებული იქნება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური სანქცია.

წესი 1

სოციალურ ქსელებში აქტივობისას პირველი არხის თანამშრომელთაგან უნდა დაცვან პირველი არხის მიერ დადგენილი სტანდარტები, მაუწყებელთა ქცევის კოდექსის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსის მოთხოვნები.

წესი 2

თანამშრომლებს შეუძლიათ გააზიარონ პირად სანიტაზა, ბლოგებსა თუ სოციალურ ქსელებში მათ მიერ შექმნილი კონტენტი, მაგ. პირადი ფოტო, ვიდეო და ჩანაწერები, რომელიც არ ეკუთვნის პირველ არხს, თუმცა ყველა გაზიარებული მასალა უნდა შეასაბამებოდეს პირველი არხის ღირებულებებსა და პრინციპებს.

წესი 3

სოციალური ქსელებიდან ფოტო, ვიდეო და სხვა მულტიმედიაური მასალის გამოყენებისას, უნდა დადგინდეს, ვინ ფლობს შესაბამის (მათ შორის საავტორო) უფლებებს ამ მასალაზე და მიიღოს თანხმობა მათ გამოყენებაზე. ცნობები, ფოტო და ვიდეომასალა, რაც სოციალურ ქსელებშია, გადაუმოწმებლად არ უნდა მიეწეროს იმას, ვის პროფილზეც იყო ნაწახი, ან ვის სტინფორმაციო გვერდზეც იყო მოკოვებული.

წესი 4

თანამშრომლებს შეუძლიათ სთხოვონ სოციალური ქსელების მომხმარებლებს სოციალურ ქსელებში გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები ამა თუ იმ ინფორმაციის შესახებ, ასევე, ჟურნალისტებს შეუძლიათ უკანასკნელ სოციალური მედიიდან დასმულ კითხვებს მათ მიერ გაშუქებული ამბების შესახებ. ამ კანულის ფორმები უნდა შეასაბამებოდეს პირველი არხის ღირებულებებს და პრინციპებს.

წესი 5

თუკი ინტერნეტში აქტივობისას პირველი არხის თანამშრომლისთვის ცნობილი ხდება, რომ ორგანიზაცია სოციალურ ქსელში გააკრიტიკეს, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სოციალური მედიის მენეჯერს.

წესი 6

პირველი არხის მისამართით შეურაცხმყოფელი, შეუწყნარებელი, უხამსი გამონათქვამების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ სოციალური მედიის მენეჯერს.

წესი 7

პირველი არხის თანამშრომელს სოციალურ ქსელში აქტივობისას ეკრძალება არანორმატიული ლაქსიკის, სიძულვილის ენის გამოყენება, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც აქტივობა ხორციელდება სხვა მესამე პირ(-ებ)ის მხრიდან განხორციელებული შეურაცხმყოფელი კომენტარის ან/და არანორმატიული ლაქსიკის გამოყენების საკანულოდ.

წესი 8

შეცდომით დაწერილი ტვიტი ან სხვა სოციალური მედიის პოსტი მაქსიმალურად ოკერათიულად უნდა გასწორდეს. ასეთ შემთხვევაში უნდა იყოს განთავსებული ტვიტი ან პოსტი, რომელშიც მითითებული იქნება, რომ დაშვებული იყო ესა თუ ის შეცდომა/უზუსტობა/ხარვეზი.

წესი 9

პირველი არხის თანამშრომლები თავის ანგარიშგაზე იდენტიფიცირებას უნდა იყვნენ, როგორც პირველი არხის თანამშრომლები, ოფიციალურად დასაქმების (შრომითი ხელშეკრულების გაფორმების ან/და შესაბამისი აქტის ქალაქი შესვლის) მომენტიდან.

თანამშრომლებმა არ უნდა გამოიყენონ სოციალური ქსელების მომხმარებლის სახელში პირველი არხი ან/და საზოგადოებრივი მაუწყებელი. პროფილზე არ უნდა იყოს განთავსებული პირველი არხის ლოგო.

წესი 10

პირველი არხის თანამშრომლებმა:

თავი უნდა შეიკავონ პოლიტიკური პრეფერენციების საჭაროდ გამოხატვისგან და ყველა დადებითი ან უარყოფითი განცხადებისგან, რომელსაც შეუძლია მათი მიუკერძოებლობის და ობიექტურობის ეჭვქვეშ დაყენება;

არ უნდა აღნიშნონ პოლიტიკური მიკუთვნიებულება სოციალურ ქსელში ან პერსონალური ინფორმაციის ვებზე;

არ უნდა გამოაქვეყნონ არც ერთი მასალა (მათ შორის, ფოტო და ა.შ.), სადაც გამოხატული იქნება პოლიტიკური შეხედულება ან/და დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება რომელიმე პოლიტიკური პარტიის/პოლიტიკოსის, საზოგადოებრივი, რელიგიური გაერთიანების, არასამთავრობო სექტორის ან სხვა ინტერესთა ჯგუფის/ჯგუფის წევრ (-ებ) ის მიმართ, რათა ყველა ამგვარი ჯგუფის წევრი გრძნობდეს, რომ მის მიმართ პირველი არხი არის მიუკერძოებელი.

წესი 11

თანამშრომლებმა არ უნდა მოიწონონ ან/და გააზიარონ პოსტები, რომლების ეფუძნება გადაუმოწმებელ ინფორმაციას. თუმცა მათ შეუძლიათ ასეთ პოსტს გამოეხმაურონ დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

წესი 12

პირველი არხის თანამშრომლების მიერ მოკოვებული ან/და დაზარალებული მასალა, კონტენტი, თანამშრომლებმა შეიძლება გამოაქვეყნონ მას შემდეგ, რაც მათ გამოიყენებს პირველი არხი. მასალაზე გკაფიოდ უნდა იყოს მითითებული, რომ იგი ეკუთვნის პირველ არხს.

წესი 13

სოციალურ ქსელებში აქტივობისას დაუშვებელია პირველი არხის/მისი საქმიანობის უსაფრთხოებასთან, იმიჯთან და კორპორატიულ პოლიტიკასთან დაკავშირებული მასალის/ინფორმაციის გავრცელება.

წესი 14

პირველი არხის თანამშრომლებს მოეთხოვებათ იყვნენ კოლეგიალურები და კორაექტულები პირველი არხის თანამშრომლების მისამართით.

წესი 15

სოციალურ ქსელებში აქტიურობისას საჭიროა თანამშრომლებს ახსოვდეთ, რომ ის ინფორმაცია, რომელსაც ავრცელებენ, ზიანს არ უნდა აყენებდეს პირველი არხის რეპუტაციას.

სოციალურ ქსელებში აქტივობისას პირველი არხის თანამშრომლებმა უნდა დაიცვან შემდეგი რეკომენდაციები:

გახსოვდეთ, რომ ის ინფორმაცია, რომელსაც თავდაპირველად შერჩეული აუდიტორიისთვის აქვეყნებთ, შეიძლება სხვებმა გააზიარონ და საჭარო გახადონ გვრად უფრო მრავალრიცხოვანი/ფართო აუდიტორიისათვის.

ყურადღებით იყავით, როდესაც სოციალურ ქსელებში „გვარდაბს“ იწონებთ, ეს ინფორმაცია საჭაროდ ჩანს, დაფიქრდით, თუ როგორ გამოჩნდება თქვენს მიერ რომელიმე გვარდის მოწონება საზოგადოების თვალში.

შეამოწმეთ რა სახის და შინაარსის ინფორმაციას დაბთ თქვენს „გვარდზე“, ყოველთვის გახსოვდეთ, რომ თქვენ პირველი არხის თანამშრომელი ხართ.